საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი 14.08.2025 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №54

მუნიციპალიტეტის ორგანოების 2025 წლის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილების, 46-ე მუხლის, 58-ე მუხლის პირველი ნაწილის, 79-ე და მე-80 მუხლის, 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2025 წლის 5 აგვისტოს №05/08/01 განკარგულებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 6 აგვისტოს №24-242521857 მომართვის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და სააგიტაციო მასალის (პლაკატი, დროშა და სხვა) შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთის მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო **განკარგულება:**

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავი და გამოსაფენი ადგილებისა და სპეციალური სტენდებისათვის განსაზღვრული ადგილების ნუსხა დანართის შესაბამისად. სპეციალური სტენდების გარდა სააგიტაციო მასალის გაკვრა დასაშვებია სამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე.

2. განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს 3 ცალი სააგიტაციო მასალა ზომით არა უმეტეს სიგრძე - 60 სმ, სიგანე - 42 სმ (A2 ფორმატი).

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პერიოდში, საარჩევნო სუბიექტებს მიეცეთ უფლება სააგიტაციო მასალები განათავსონ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე (გარდა ამ განკარგულების მე-7 პუნქტში მითითებული ობიექტებისა) თუ ამით არ უარესდება საგზაო ნიშნების, მაჩვენებლებისა და საავტომობილო გზის ხილვადობა, აგრეთვე საფრთხე არ ექმნება ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

საკრებულო SAKREBULO 22041.8956

4. სააგიტაციო მასალები ასევე შეიძლება განთავსდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე გარე განათების ბოძებზე და მგზავრთა მოსაცდელებში.

5. გამოყოფილი ადგილი და განთავსების პირობები ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის თანაბარია.

6. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

7. აკრძალულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის ორგანოების 2025 წლის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სააგიტაციო მასალის განთავსება საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა - ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა;

8. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა;

9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ წინასაარჩევნო პერიოდში ხელი შეუწყოს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებების და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში; დაიცვას მათი უსაფრთხოება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.

10. მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაეთმოს საარჩევნო კომისიებს;

11. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის)) დაკავშირებით გამოყოფილ იქნეს ქ. ზუგდიდი ჯანაშიას ქ. №12–ში მდებარე ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ საკონცერტო დარბაზი.

12. სააგიტაციო მასალის უკანონოდ ჩამოხსნის, ჩამოხევის, გადაფარვის ან დაზიანების შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმები შეადგინოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოხელეებმა;

13. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები (№67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) უსასყიდლო

საქრებულო
SAKREBULO
22041 8956

უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიას;

14. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარი (მოძრავი ქონება) №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში (თუ ამით არ შეფერხდება მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა) გადასცეს საუბნო საარჩევნო კომისიებს საქმიანობის ვადით;

15. საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემული შენობა-ნაგებობების კომუნალური ხარჯები დაიფაროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

16. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და ასევე ინვენტარი (მოძრავი ქონება) №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიას.

17. დაევალოს ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობის მართვის ცენტრს" საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების დამზადებისა და დამონტაჟების უზრუნველყოფა.

18. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს აპარატს საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება ვებგვერდებზე და გამოკვრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) ადმინისტრაციულ შენობებში (მის: ქ. ზუგდიდი ზ. გამსახურდიას გამზ. №45; ქ. ზუგდიდი რუსთაველის ქ. №90).

19. ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.

20. განკარგულება გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას, ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრს", ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობის მართვის ცენტრს", №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიას, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოს.

21. განკარგულების მოქმედება გავრცელდეს მუნიციპალიტეტის ორგანების 2025 ნლის არჩევნებზე;

22. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

საკრებულო
SAKREBULO
2204.8956

23. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ვადების დადგომიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის №12).

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი

მალხაზ თორია

დანართი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავი და გამოსაფენი ადგილებისა და სპეციალური სტენდებისათვის განსაზღვრული ადგილების ნუსხა

N	ადმინისტრაციული ერთეული	სტენდის განთავსების ადგილი	
1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციული ერთეული	სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმდებარე ტერიტორია (დ. აღმაშენებლის ქ.)	
2	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციული ერთეული	ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია (ლ. ბერიას ქ.)	
3	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციული ერთეული	გ. გულუას სახელობის პარკის მიმდებარე ტერიტორია (გ.გულუას ქ.)	
4	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციული ერთეული	ყოფილი ფაიფურის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია (ი. ჭავჭავაძის ქ.)	
5	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ენგურის ადმინისტრაციული ერთეული	ჯანაშიას ქუჩაზე პოლიციის განყოფილების შენობის მიმდებარე ტერიტორია	
6	აბასთუმანი	სოფლის ცენტრი საბავშვო ბაღის შენობის (ზ.გამსახურდიას ქ. N1) წინამდებარე ტერიტორია	
7	ანაკლია	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის	

ZUGDIDI MUNICIPALITY
საკრებულო
SAKREBULO
2204.8956

		(შ.რუსთაველის ქ. N225) წინამდებარე ტერიტორია	
8	ანაკლია	N 91 საარჩევნო უბანი სოფ. ანაკლია შ. რუსთაველის N 37 (ყორშიების უბანი) წინამდებარე ტერიტორია	
9	ახალაბასთუმანი	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (ზ. გამსახურდიას ქ. N1) წინამდებარე ტერიტორია	
10	ახალკახათი	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (რუსთაველის ქ. N91) წინამდებარე ტერიტორია	
11	ახალსოფელი	სოფლის ცენტრი საცხოვრებელი კორპუსის შენობის (ანთიმოზ როგავას ქ. N4) წინამდებარე ტერიტორია	
12	ბაში	სოფლის ცენტრი საბავშვო ბაღის შენობის (გ.ქობალიას ქ.N20) წინამდებარე ტერიტორია	
13	განმუხური	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (გამსახურდიას ქ.N 95) წინამდებარე ტერიტორია	
14	განმუხური	საბავშვო ბაღის (გამსახურდიას ქ. N127) წინამდებარე ტერიტორია	
15	ალერტკარი	საჯარო სკოლის (ზ.გამსახურდიას ქ. N56) წინამდებარე ტერიტორია	
16	დარჩელი	სოფლის ცენტრი ზემო დარჩელის გადასახვევთან (რუსთაველის N110)	
17	დარჩელი	N2 საჯარო სკოლის შენობის წინამდებარე ტერიტორია (ზ.გამსახურდიას ქ. N56)	

18	დავითიანი	სოფლის ცენტრი შერეული საქონლის მაღაზიის შენობის (დადაიანის ქ. N5) წინამდებარე ტერიტორია	
19	დიდინეძი	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (დ. აღმაშენებლის ქ. N4) წინამდებარე ტერიტორია	
20	დიდინეძის კახათი	სოფლის ცენტრი ყოფილი დაწყებითი საშუალო სკოლის (ალ.ყაზბეგის N330) წინამდებარე ტერიტორია	
21	ერგეტა	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (დ. აღმაშენებლის ქ. N5) წინამდებარე ტერიტორია	
22	ზედაეწერი	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (სოხუმის ქ. N8) წინამდებარე ტერიტორია	
23	ზედაეწერი	სოხუმის ქ. N21 კოლეჯის შენობის წინამდებარე ტერიტორია	
24	ინგირი	სოფლის ცენტრი კულტურის სახლის შენობის (რუსთაველის ქ. N411) წინამდებარე ტერიტორია	
25	ინგირი	ინგირის N1 საჯარო სკოლის შენობის (თამარ მეფის ქ. N69) წინამდებარე ტერიტორია	
26	კახათი	სოფლის ცენტრი კულტურის სახლის შენობის (დ.აღმაშენებლის ქ. N61) წინამდებარე ტერიტორია	

საკრებულო SAKREBULO 2204-6956

27	კახათი	მე-2 საჯარო სკოლის შენობის (ვ.დარასელის ქ. N76) წინამდებარე ტერიტორია	
28	კიროვი	სოფლის ცენტრი საჯარო სკოლის (რუსთაველის ქ. N206) წინამდებარე ტერიტორია	
29	კოკი	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (ბარათაშვილის ქ. N57) წინამდებარე ტერიტორია	
30	კორცხელი	სოფლის ცენტრი საჯარო სკოლის შენობის (წერეთლის ქ. N41) წინამდებარე ტერიტორია	
31	ნარაზენი	სოფლის ცნეტრი კულტურის სახლის შენობის (მ. ლომაიას ქ. N 12) წინამდებარე ტერიტორია	
32	ნაცატუ	სოფლის ცენტრი საბავშვო ბაღის შენობა (რუსთაველის ქ. N 13) წინამდებარე ტერიტორია	
33	ნაწულუკუ	სოფლის ცენტრი საჯარო სკოლის შენობის წინამდებარე ტერიტორია	
34	ოირემე	სოფლის ცენტრი ოირემეს არასრული საჯარო სკოლის შენობის (საირმის ქ. N53) წინამდებარე ტერიტორია	
35	ოდიში	სოფლის ცენეტრი ადმინისტრაციული შენობის (კ.გამსახურდიას ქ. N118) წინამდებარე ტერიტორია	
36	ორსანტია	სოფლის ცენტრი იუსტიციის სახლის შენობის (დ. აღმაშენებლის N17) წინამდებარე ტერიტორია	

37	ორსანტია	სოფლის ცენტრი ყოფილი ელემენტარული სკოლის შენობის (ც.დადიანის ქ. N2) წინამდებარე ტერიტორია	
38	ორულუ	სოფლის ცენტრი ორულუს ადმინისტრაციული შენობის (დ.აღმაშენებლის ქ. N4) წინამდებარე ტერიტორია	
39	ოქტომბერი	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (მ.რატიას ქ. N4) წინამდებარე ტერიტორია	
40	ოფაჩხაფუ	სოფლის ცენტრი დევნილთა საცხოვრებელი კორპუსის შენობის (ალ.ყაზბეგის N12) წინამდებარე ტერიტორია	
41	ყულიშკარი	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (დ.აღმაშენებლის ქ. N30) წინამდებარე ტერიტორია	
42	რიყე	სოფლის ცენტრი კულტურის სახლის (დ.აღმაშენებლის ქ. N7) წინამდებარე ტერიტორია	
43	რუხი	სოფლის ცენტრი რუხის კულტურის სახლის შენობის სოხუმის ქ. წინამდებარე ტერიტორია	
44	რუხი	რუხი -საჭკადუოს უბანი 9 აპრილის ქ. წინამდებარე ტერიტორია	
45	ტყაია	სოფლის ცენტრი საბავშვო ბაღის შენობის (კ.გამსახურდიას ქ.N 44) წინამდებარე ტერიტორია	
46	ურთა	სოფლის ცენტრი საჯარო სკოლის შენობის (ცაიშვილის ქ. N77) წინამდებარე ტერიტორია	

საკრებულო
SAKREBULO
2204.6956

47	უჩაშონა	სოფლის ცენტრი მოსაცდელის (კ. გამსახურდიას ქ. N 3) წინამდებარე ტერიტორია	
48	შამგონა	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (ზ.გამსახურდიას ქ. N2) წინამდებარე ტერიტორია	
49	შამადელა	სოფლის ცენტრი საჯარო სკოლის შენობის (კ.ლომაიას ქ. N191) წინამდებარე ტერიტორია	
50	ჩხორია	სოფლის ცენტრი კულტურის სახლის შენობის (რუსთაველის ქ. N202) წინამდებარე ტერიტორია	
51	ჩხოუში	სოფლის ცენტრი N2 საჯარო სკოლის შენობის (თ.ვაწაძის ქ. N70) წინამდებარე ტერიტორია	
52	ცაიში	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (თბილისის ქ. N152) წინამდებარე ტერიტორია	
53	ცაცხვი	სოფლის ცენტრი ცაცხვის საბაზისო სკოლის შენობის (თბილისის ქ. N246) წინამდებარე ტერიტორია	
54	ცვანე	სოფლის ცენტრი ყოფილი არასრული სკოლის შენობის (კოლხეთის ქ. N1) წინამდებარე ტერიტორია	
55	ჭაქვინჯი	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (თავისუფლების ქ. N1) წინამდებარე ტერიტორია	

ZUGDIDI MUNICIPALITY
საკრებულო
SAKREBULO
2204.8956

56	ჭითაწყარი	სოფლის ცენტრი საბავშო ბაღის (დ.აღმაშენებლის ქ. N84) წინამდებარე ტერიტორია	
57	ჭითაწყარი	ონარიის ჩასახვევთან წმ. ნინოს ქუჩის გადაკვეთასთან (სამხარეო პოლიციის გვერდითა ტერიტორია)	
58	ჭითაწყარი	ყოფილი არასრული საშუალო სკოლის შენობის (თბილისის ქ. N91) წინამდებარე ტერიტორია	
59	ჭკადუაში	სოფლის ცენტრი კულტურის სახლის შენობის (რუსთაველის ქ. N1) წინამდებარე ტერიტორია	
60	ხეცერა	სოფლის ცენტრი საბავშვო ბაღის შენობის (მეუნარგიას ქ. N36) წინამდებარე ტერიტორია	
61	ხურჩა	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (ი.მეუნარგიას ქ. N2) წინამდებარე ტერიტორია	
62	ჯიხაშკარი	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (კ.გამსახურდიას ქ. N49) წინამდებარე ტერიტორია	
63	ჯუმი	სოფლის ცენტრი ადმინისტრაციული შენობის (კ.გამსახურდიას N5) წინამდებარე ტერიტორია	